

შრომა

სურათებიანი დამატება

დამატების № 22

ხუთშაბათი. 22 ივნისი, 1906 წ.

პაწეუთის № 64

მარსელელი,

(საფრანგეთის რევოლუციის დროის მოთხრობა)

ფელიქს გრასი.

VI

თავისუფლება ან სიკვდილი!

მთელი ღღე და ღამ არა ჩასულა-რა ჩვენს პირში, გარდა პურისა, რომელიც ღამე ვჭამეთ და მაინც შიმშილს არა ვგრძნობდით, ერთმანეთის ვებხვოდით, გოგონებიც ვცეკვავდით ოქროთი დაფერილ სასახლის ოთახებში და ხმა მაღლა ვმღეროდით კარმანიოლას. ამ რიგად მეფის და დედოფლის ოთახებში შევედით. პირველ ოთახში სურათები ჩამოვვლი-ჯეთ და ფურთხით ავაშეთ. უკანასკნელი ოთახი ბრკევიანად ოქროთი, ძვირფას არწივებით და სარკეებით. მორგანი გაღრმავებული ძვირფასი საწოლზე, ჩვენ კი ვცეკვავდით და დავხტოდით გამარჯვებით აღტაცებულნი.

უცბად თავში გამიბრინა: სად არის ვოკლერი-მეთქი. დიდი ხანი იყო არ მენახა. ნუ თუ დასკრეს ან მოჰკლეს? შეშინებულმა ძებნა დავუწყე. გიგონით დავერბოდი ამოდნა ოთახებში და ყოველ გვამს ვათვალიერებდი. აივნისა და ბაღში ვიყურებოდი, მაგრამ იქ გვარდიელები და პატრიოტები სიხარულის ცრემლებით ერთმანეთს ეხებოდნენ, ზოგან დაქრილფხვს კრილობას უხვევდნენ. ვოკლერი არსად იყო. ერთ სარკმლიდან საშინელი სანახავი დავინახე. სარდაფში, ჰაერის შესვალს მიღთან იდგა პლანშო ცუდით ხელში როგორც კატა თავის სოროსთან.

საცოდავი შევიცარე სარდაფში დამალულიყვენ და ახლა ამ მილიდან ძვრებოდნენ თითო-თითოდ, მაგრამ როგორც გამოჰყოფდნენ თავს, პლანშო დაჰკრავდა ცუდს, თავს გაადგდებინებდა და გვამს გადაადგებდა, გვამების ხროვა თან და თან იზდებოდა, პლანშო მაინც თავს არ ანებებდა. შესაზარი სანახავი იყო.

მაგრამ, აი, ვიღაც გვარდიელი მივიდა და დელაპარაკა. თვალები ამიკრელდა — ნუ თუ ეს საზი-ზღარი სურტო იყო, ეხლა რომ თავის ბატონი მოჰქლა! დამაცადე, ახლა კი ხელიდან არ წამიხვალ! ავიღე ორთავე ხელში თითო დამბახა და ჩავიბრინე ძარს.

გზაზე შემხვდა ვოკლერი, ისიც მე დამეძებდა.

— სად მიბრბი, პასკალ? — მკითხა იმან.

— წამოდით, წამოდით! სურტო ეზოშია პლანშოსთან. უნდა მოვკლა, როგორც ძაღლი!

ვოკლერი გამომყვა. გავიარეთ მრავალი ოთახი, ბოლოს გავედით გარედ, სადაც უღმობელ პლანშოსაგან თავებ დაქრილი გვამები ეყარა. მაგრამ აღარც პლანშო სჩანდა სადმე და აღარც სურტო. საცაღა ვაჰქანენ, მე კი დარწმუნებით ვიცოდი, რომ აქ იყვნენ ორივენი.

სიბრაზით ტირილი დავიწყე, რაკი იმ ავაზაკის ჯავრი ვერ ამოვიყარე.

— კარგი, კარგი, — მითხრა ვოკლერმა, — შენ სწორედ შესდი. წავიდეთ, დასვენება გინდა და დანაყრება. ამხანაგები გველიან. აგერ გესმის, დაბრუნდეს ნიშანიც დაჰკრეს.

ბატკანივით გავყვევი და თან უკან ვიხედებოდი, სურტო ხომ არ დაბრუნდა მეთქი. ჩქარა მივედით მეფის კართან. მარსელელების დღე დაფის ხმა ისმოდა. გარნიე სისხლით შესვრილ ხელცახოვით თავშეკრული ჯარს ასწორებდა. მე და ვოკლერი მაშინვე ჩვენს ალაგას ჩავდეთ და მივესალმეთ ამხანაგებს გახარებულნი, რომ გავიმარჯვეთ და ცოცხლები გადავრჩით. მაგრამ ძალიან ბევრნი გვაკლდნენ, ხუთას კაციდან სულ ორასნი ვიყავით. შემდეგ კოტ-კოტად გვემატებოდნენ ამხანაგები, რომელთაც საეროვნო საკრებულოში



მოიკესა. — სურტო — პეტრე. ნისა

მიიყვანეს ტყვეები და მიიტანეს განძეულობა, მეფის სახალფეში წაიღეს. ვოკლერმა მიიტანა ერთი ქისა ოქროს ფუ-

*) იხილე დამატება № 21.



მასის დღე.—სურათი შრამისა.

ლი, მეფის ოთახში ნაპოვნი. ყოველ დაბრუნებულ ამხანაგს ცრემლათ ვეგებოდით. გაიარა რამდენსამე ხანმა, აღარავინ მოგვემატა. კაპიტანმა უბრძანა, დავი შევეყენებინათ. მერე ჩამოთვალა ყველას სახელი და გვარი. თუ რომელიმე გვარის თქვაზე ხმას არავინ გასცემდა, მაშინვე სამგლოვიარო დაფს დაჰკრავდნენ, ამ ნიშნით ყველა მიხვდებოდა, რომ ამა და ამან თავისუფლებისთვის თავი შესწირა. ბოლოს აღმოჩნდა, რომ სულ ორასი კაცი დაგვკლდა, ამითში ოცი მკვდარი და ას-ოთხმოცი დაჭრილი. ამ ანგარიშის დროს გვარდიელებს მიცვალებულების გვამები გამოჰქონდათ. როდესაც სამატის გვამი გამოასვენეს, სამხედრო პატივი ვეცით. ცრემლით აგვევსო თვალები, სამხედრო წესი დავავიწყეთ, ყველანი მიჰცვივდით მეგობარს და დაუკონეთ ის გაყინული ხელები, რომლითაც მარსელიდან პარიზამდე მოიტანა თავისი დროშა, რომელზედაც აღნიშნული იყო ადამიანის უფლებანი.

ბოლოს გზას გაუდგეით. როგორც-კი გადავდგი რამდენიმე ნაბიჯი, რაღაც სისველე ვიგრძენ ჩემქაში და თვალები ამიჭრელდა. გონს რომ მოვედი ხელზე დავიხედე, ვნახე რომ თითიდან სისხლი გადმოვდიოდა. ეჭვი არ იყო, დაჭრილი ვიყავ.

— მეც დაჭრილი ვარ, — ეცვიროდი სიხარულით, — გაუმარჯოს ეროვნებას!..

თავმოწონებული ვაჩვენებდი ჭრილობას ჩემ ამხანაგებს, რომელნიც ხარხარებდნენ და უკვირდით ჩემი სიხარული. საშინელი ტკივილი ვიგრძენ და უცხად თითი პირში ვიტაკე, როგორც ბავშვისას, როცა ქვეშე ბოძლით გავიჭრიდი ხოლმე თითს. რასაკვირველია, მარსელიეზს სიმღერაში მონაწილეობას ველარ ვიღებდი, იმიტომ-ღა ვნუგეშობდი, რომ ქუჩაში მიპაეალი ხალხი გვიძახდა: „გაუმარჯოს მარსელელებს!“

რამდენისამე საათში გასაუკარი ცვლილება მოხდა. ამ მდიდარ უბნის მცხოვრებნი და ღიბიანი ვაჭრები, რომელნიც ამ ცოტა ხანში ქვეს გვესროდნენ, ახლა „გაუმარჯოს“ დაგვძახებდნენ და იმათ სახლის კედლებზე, სადაც წარწერილი იყო: „გაუმარჯოს მეფეს, გაუმარჯოს დედოფალს“, საჩქაროდ წაიშალა და იმის მაგივრად გამოჩნდა წარწერა: გაუმარჯოს მარსელელებს, ძირს მტარვალნი, გაუმარჯოს ეროვნებას!“

წმ. იოანეს კამარასთან რომ მივედი, შევდექით, წასვლა შეუძლებელი-ღა იყო სივიწროვის გამო. სანტერი მოუძღოდა პარიზელ გვარდიის ბატალიონებს. მთელი დღე და ღამე, აქა მდგარიყვნენ და უცდიდნენ, გვიმარჯვებდით თუ არა. რასა-

კვირველია, თუ დავმარცხდებოდით, ესენიც ჩვენი წინააღმდეგნი იქნებოდნენ, ახლა კი ხალხთან ერთად სალამი გვიძღვნეს და დაიძახეს!

— გაუმარჯოთ მარსელელებს!..

ამათი სალამი ვერ მოგვატყუებდა და ჩვენ ერთმანეთს ვეუბნებოდით:

— აი რანი არიან პარიზელები! ახლა ეგენი ჩვენს გაკეთებულს საქმეში თავს გამოიკოლოცინავენ, ვითომ ჩვენზე უკეთესი რესპუბლიკელები არიან. სანტერი, რომელიც სულ აგვიანებდა სასახლის აღებას, ხვალვე თავის ქებას მოჰყვება და ყველას აალაპარაკებს, რომ ჩვენ დავისხენით სამშობლო, ეჰ, ოღონდ საქმე არ გაგვიფუქონ და ჯანაბმდისაც გზა ჰქონდეთ! მართლს ამბობენ; საფრანგეთი მშენიერია ნაყოფიერებით და პარიზი მისი გულია, მაგრამ ამ გულში მატლი იმალება.

ღიღის გაქირვებით მივდიოდით. ყაზარმებისაყენ, ყოველ ნაბიჯზე გვხვდებოდა მთვრალი კაცი და ქალი; ესენი მოათრევდნენ არისტოკრატებს და მღვდლებს და მოჰქონდათ სხვა და სხვა ნივთი, საყდრებსა და მდიდარ ჯოჯახებში დაპარული. ჩვენ, სამხრეთელი წითელნი, რომელთაც ავაზაკებს გვეძახებდნენ, თავის დღეში არ ვიკადრებდით ამას, ტყვეებსაც კი განთავისუფლებდით. ამ ხალხს კი სამარცხვინოდ მიაჩნდა ჩვენი გამარჯვება და მით სამშობლოს და ადამიანის უფლების აღდგენა, ახლა ჩვენს ჯავრს არისტოკრატებზე ყრილობდნენ და მათის სისხლით უნდოდათ თავიანთი სირცხვილის ჩამორეცხვა.

სამი საათი შესრულდა, ყაზარმებში რომ მიველით პარიზის ციხეები საფე იყო არისტოკრატებით და უბედურ ხალხით, რომელთაც არისტოკრატებად სთვლიდნენ. ჩვენ ყველასთვის თავისუფლებას მოხვეჭა გვიწოდდა, ხალხის ნაძირალნი-კი თავიანთი ბუნებებიდან გამოძვრნენ და შურის ძიებას და ქურდობას მიჰყუეს ხელი, ჩვენგან მოჰაუბლეს თავისუფლება ბოროტად მოხმარეს.

თუმცა ისევ ბავშვი ვიყავ, მაგრამ ეს კარგად მესმოდა.

ყაზარმაში ბოლომდე დაგვხვდა ჰურიც და ღენოც. კეთილმა მორგანმა მაშინვე შეიხვია თითა და საჩქაროდ დამივიწყა ჭრილობა. რაკი ღონე მოვიკრიფეთ, მე და ვოკლერი ერთმანეთს ვანიშნებდით, რომ შინ მოუთმენლად გველოდნენ ლაზული და აღელნი.

— პასკალ შეგიძლიან სახლამდის მისვლა? მკითხა ვოკლერმა, — ხომ იცი, მოუთმენლად გველიან.

სანამ სახლამდის მივიდიოდა, მრავალი მთვრალი ხალხი შემოგვხვდა, რომელნიც ხმლებს იქნევდნენ და რაც ძალია და ღონე ჰქონდათ ღრიალებდნენ: „გაუმარჯოს მარსელელებს!..“

როგორც კი კარი დავარაკუნეთ, მაშინვე გაკვიდეს. ვოკლერი ლაზულის გადახვია და მერე აღელნიას, პატარა კლარე ფეხებში ჩაუვარდა თავის მამას, ქანტონამ-კი, პლანშო რომ ვერ დაინახა, ტირილი მორთო.

— მოჰკლეს ჩემი პლანშო! ვიცოდი, რომ შინ აღარ დაბრუნდებოდა! რაღა მაღირსებს პლანშოს ნახვას!..

ისე ვიყავით გახარებულნი ჩვენების ნახვით, რომ ყურადღებას აღარ ვაქცევდით ქანტონას და ვერ შევამჩნიეთ პლანშო როგორ შემოვიდა კარებში. საშინოარი სანახავი იყო: თავიდან ფეხამდე სისხლში შესვრილს ხელში ცული ეჭირა. ცოლმაც კი ვერ იცნო პირველ დანახვაზე.

— პლანშო, შენა ხარ? რა საშინელი სანახავი ხარ, თითქო დაკლულ ხარის მუცელში გიგოგრავენაო. დაჭრილი ხომ არა ხარ?

— არა, მაგრამ ხელებს კი დიდი ჯაფა მივაყენე. აი, ამ ცუდით ჩვილები თავი მოგვეყენე. ამას გარდა ერთი პატრიოტის დახმარებით ხალხის ბრბოს გადავაციე ჩვენი უბნის არისტოკრატები, რომელთაც კი ვიცნობდი. ეს არის ეხლა ერთი კიდე დავიჭირეთ თორმეტი კარის ქუჩაზე. ვილაქ მარკიზია, სახელი დამავიწყდა. ეჰ, სულ ერთია, ჩემი გილიოტინისთვის აღარ გამოდგება.

— ყოვლად წმინდა ღვთისმშობელო! — წაიღუდუნა ადელინამ და გულწრფელად დაეცა.

— გაჩუმდი, პლანშო! — უთხრა ვოკლერმა: — ხომ ხედავ, საწყალ ბავშვს გული შეუწყუხდა შენს წყალობით.

— ნუ თუ ჩემმა ქმარმა მოახდინა ამდენი საწინებელი? — სთქვა ენტონამ და დაიწყო ტირილი.

მე და ლაზულმა ზევით ავიყვანეთ ადელინა და საწოლზე დავწვინეთ, რადგან გილიოტინები წაეღოთ. პლანშო ისევ თავის მამაცობას იკვებოდა.

— არა, რა გაღმუღვლებს, — უთხრა ცოლს, — წინადაც მეტყუდი, რომ ეგ ბავშვი მაგისთანა სუსტია. არა უშავს-რა, გაივლის, თურინჯის წყალი დააღვინეთ. მაშინ რაღა დემართებოდა, რომ ენახა, იმ მიღებულ მარკიზს რამოდენა დანით მივარდა ერთი დედაკაცი. მე რომ არ დამეშალა, გამოჰფეხავდა.

— ეგ ქოვავი ეკრასა იქნებოდა! — სთქვა ვოკლერმა.

— დიად, დიად, ეკრასა ჰქვია.

— მაშ თქვენ გაგიციათ მარკიზ ამბრენი და ის პატრიოტი, რომელიც თქვენ გეხმარებოდათ, საზიზღარი სურტოა. ის ლაქია მარკიზისა და საყვარელი მარკიზის ცოლისა, იმ ბოროტმა სულმა თავისი ხელით მოჰკლა მრავალი პატრიოტი და თავისი ბატონი კი იმ განზრახვით გასცა, რომ შელახოს მისი ღირსება და ხელში იგდოს მარკიზის ქონება იმის ქვრივის შერთვით. ძალიან კარგი საქმეები ჩაგიდენია, პლანშო! თქვენ ყოველთვის პატიოსან პლანშოს გეძახდნენ, ამ ცოტა ხანში ახალი სახელი გიწოდეს — პლანშო — თავისუფლება, თქვენ კი დაეხმარეთ ავაზაკს და კაცის მკვლელს, რომელიც დღეს დილით სასახლის სარკმლიდან მარსელელებს თოფს გვესროდა.

— ვოკლერ, დარწმუნებული ხარ, რომ მართალს ამბობ?

— რა თქმა უნდა, როგორც იმაში, რომ თითო ხელზე ხუთი თითი მახია. პასკალ უფრო მეტს გიამბობთ სურტოზე, რომელმაც თითონ ეს კინაღამ მოჰკლა. რა საჭიროა სიმართლის დაფარვა — აი გეტყვით: ადელინა ჩემი ქალი კი არა, უბედური მარკიზ ამბრენის ქალია, ჩვენ ის აფთარი ეკრასის ხელიდან დავიხსენით. ამისმა დედამ და სურტომ იმას ჩააბარეს ადელინა მოსაკლავათ. რას იტყვით ამიზედ, პლანშო?

— აბა რა გითხრათ! — დაიყვირა გაცეცხლებულმა პლანშომ და ცული აიტაცა: მე კი ძალიან საქმეები გავაკეთე, მაგრამ ის არ მესმის, რატომ აქვს არ მოგალი, რომ მოტყუებით ჩემს სახლში დაწყევლილ არისტოკრატის ქალი შემოათრიე.

— მე კი, — მიუგო ვოკლერმა და მიადო შუბლზე დამბაჩა, — ახლავ გაგამგზავრებ მამა-პაპისთან, თუ ახლავ არ წამოგვეყვები მე და პასკალს მარკიზის დასახსნელად და მის მაგიერ სურტოს და ეკრასს არ ვისცემ ხალხს.

პლანშომ უკან დაიწია, ბურბულელაზე დაეცა და შიშით ააკანკალა.

— მზადა ვარ, შენი ნება ავასრულო, მაგრამ მარკიზის შველა გვიანდაა. ვინ იცის, რომელ საპყრობილეში დამწყვდიეს, განა ცოტა პარიზში... სურტომ, ეკრამ და მარკიზამ კი მთლად გამარცხეს მარკიზი და გაიქცნენ. სად ეპოვით ჩვენ იმათ?

— უბედურო! რაღა პატრიოტი ხარ, როცა ქურდებს საშუალება მიეცე, სხვისი სახლი გაეძარცვათ? ჰედავდით, რომ ქურდობდნენ და ყურც-კი მიხვდით, რა ხალხი იყო.

ოჰ, პლანშო, პლანშო, ჩემო სახლის პატრონო! ამის შემდეგ თქვენ თითონ ქურდი ხართ!

პლანშომ ხელიდან დაუშვა ძირს ცული; სახე გაუფითრდა და ცრემლმორეულმა უთხრა:

— მაპატიე, ვოკლერ, შენ მართალი ხარ — მე კი უბედური. მაგრამ მერწმუნე, მე ეგ მოუფიქრებლად მომივიდა და არა განძრახ. ჩემ ცოლს ნურას ეტყვი. მასწავლე, როგორ გავასწორო ჩემი დანაშაული.


— როგორ გაასწორო დანაშაული? ძალიან ადვილია. უნდა დაუბრუნდეს უდანაშაულო ადელინას მამა და ქონება, რომელიც თქვენის დახმარებით მოჰპარეს სურტომ და საზიზღარმა ეკრასმა.

— სიმართლეს ამბობ, ვოკლერ... მე პატიოსანი პლანშო, რომელსაც არას, დროს სხვისი გროშიც არ ამიღია, ქურდათ გამოვედი, მაგრამ ვფიცავ, ჩემს თავს მოსვენება არ ვაღირსო, სანამ ეს ჩირკი არ მოვაშორო ჩემს უმწიკვლო სახელს. ვფიცავ, მთელ პარიზს შევძრავ, საითათოდ ყოველ სახლში მოვძებნი და ცოცხალს ან მკვდარს ვიპოვნი ადელინას მამას. იმ ქურდ სურტოს, საზიზღარ მარკიზს და ღვთის გარეგან ეკრასს კი საკადრისად გადავუხნა.

ვოკლერ შეებრაღა თავისი მეგობარი, გადაეხვია და ორივენი ატირდნენ.

ორის სიტყვით დაასურათეს, რაში იყო საქმე და მას შემდეგ ჩვენი საუბრებელი და საგანი გახდა, — დაგვებრუნებინა საცოდავის ბავშვებისთვის მამა და ის სამი უკეთესი სასტიკად დაგვესაჯა.

მეორე დილას სამივენი წავედით, თითოს რამდენიმე ქუჩა და საპყრობილე დავენიშნეთ ამბის შესატყობად სადღარა ადგოდა იყო მარკიზი, გარდა ამისა უნდა მიგვეგნო იმ ბუ-



გორემიკინი და მურამცკეი უფსკრულის პირას ერთმანეთს გასასა უთმობენ.

ნავისთვის, სადაც იმალებოდნენ ის დაწყევლილი ქურდები. შინ მხოლოდ შუალამისას ებრუნებოდით დაღალულ-დაქან-

ცულნი და სასოწარკვეთილნი. სულ ვატყუებდით საწყალ ადელინას, რომელმაც ჯერ არ იცოდა ძმის სიკვდილი, მხოლოდ მიხედვით იყო, რომ მის მამას რაღაც უბედურება შეემთხვა და წარმოდგენილი ჰქონდა, რომ იმისი დედა საშინლად სწუხდა მისი უნახაობით. ჩვენც ყოველ დღე ვპირდებოდით, რომ მეორე დღეს დედამამსთან წავიყვანდით.

თუმცა ვწუხდით, რომ ასე ვატყუებდი ადელინას და ვიცოდი, რომ ერთხელაც არის უნდა გამოეტყუებოდა, მაგრამ მაინც ესალა-კი სიამოვნებით ვიგონებ იმ წამებს, რომელიც მაშინ გავატარე იმასთან. ყოველ საღამოზედ გამოგვითხავდა მთელი დღის ამბავს და რაკი გულს ცოტად მაინც დაიმშვიდებდა, თითქმის შემისხვედა და მერე მზიარულად და სიყვარულით მემსახურებოდა ვახშამზე. ადელინას ახლო ყოფნა, მისი მომხიბლავ სახის ხილვა, მშვენიერ თმების და ვარდის ფერ ლოყების შეხება რაღაც უცნობი გრძნობით მიესტება გულს; სისხლი მიღელვავდა და თავში მივარდებოდა, მე სულელს კი არ მესმოდა, რა იყო მიზეზი.

დრო გადიოდა და ბოლოს დადგა ის უბედური დღეც, რომელ დღესაც მარსელენი უნდა გავსულიყავით პარიზიდან და მასთან სიმართლედ გავგემჟღავნებინა ადელინასთვის. მეორე დღეს ჩვენ ბატალიონის ფული უნდა მიეღო საკანონო საკრებულოსგან გადაწყვეტილი ჩვენი ხარჯის გადასახადი და შემდეგ დაგბრუნებულიყავით სამხრეთს. გადავწყვეტეთ, რომ, სანამ მე და ვოკლერი წავიდოდით ფულის მისაღებად, ლაზული და ჟანტონა ეტყოდნენ სრულ სიმართლეს ადელინას და ურჩევდნენ ჩვენთან ერთად დაბრუნებას ავინიონში და იქ ვოკლერის სახლში დარჩენას.

მზის ამოსვლამდე ავდექი და ვოკლერზე ადრე წავიდი ყაზარმაში. იქ დამიხვდნენ მორგანი, პელოუ და სხვები, რომელნიც მზიარულად ხელში აჩხრიალებდნენ მიღეულ ფულს.

— დეეშურე, დეეშურე, ბიჭუნა! — მითხრა მორგანმა, — მიიღე შენი ფული. და წამოდი ჩვენთან. დღეს უნდა ვიქცევოთ, უამისოდ პარიზიდან წავსლა არ შეიძლება.

მეც წამიყვანეს ფულის მისაღებად, არ ვიცოდი სად წამელო ამდენი ფული მორგანმა ჯიბეში ჩაშიდო, გამიყვანა ქუჩაში და მიყვიროდა:

— წამო, წამო, დროა ლუზა ავხსნათ.

ხუთი ამხანაგი ხელდაქერილები წავედით. პირველსავე დუქანში ორ-ორი ქიკა არაყი გადავყარით და სიმღერით წავედით.

პარიზელები ყველგან პატივისცემით გზას გვაძლევდნენ, ჩვენც, როგორც გამარჯვებულნი, დიდის ყოფით მივდიოდით. აი მეორე დუქანიც, აქაც დავლიეთ და კიდევ წავედით. გავიარეთ ხიდი და მივადექით ერთს დუქანს, რომელსაც ეწერა „ავინიონი“.

— შევიდეთ, — სთქვა მორგანმა, — აქ კარგი წითელი ღვინოა, ზეთის ხილი და შემწვარი ვირ-თევზა. ძალიან გვშოიდა და სიამოვნებით შევყევით. საჩქაროდ მოგვიტანეს შემწვარი თევზი და ჩვენც სიამოვნებით დავუწყეთ ჭამა.


— ძალიან მლაშეა ეს თევზი, შენიშნა პელოუმ.

— ეგ არაფერია, — მიუგო მორგანმა, — უფრო მოგეწეურდება.

მართლაც, ყველამ ერთბაშად გადავყლაპეთ თითო ბოთლი წითელი ღვინო, მერე ბურგონისა და ლიკიორი. ამ დროს ჩვენ წინ ურმებით გაატარეს არისტოკრატები: ესენი იყვნენ ტუსალები, რომელნიც ვერსალში მიჰყიდდით, რომ ცოტა მაინც გაეხალვათებინათ საესე საპყრობილები. მათ მისდევდა ხალხის ბრბო, რომელიც ლანძღავდა და ტალახს და ქვებს ესროდა ამ არისტოკრატებს.

გლეჩე (სტონფისისა).

(დასასრული იქნება.)



დუკანოვო (ვიტეს დანჯარ. ში). — მეგობარო, დროზედ კი დავხვდით თავი წამებას! ვიტტი, აკი გიანხარ: საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს გახრწნილის წმართველისაო.

რედაქტორ-გამომცემელი გრ. ბ. რუხიშვილი.